წერილის ნომერი: **18-01193381537**
თარიღი: **04/12/2019**
პინი: **3959**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური"), განიხილა თქვენი 2019 წლის 22 ნოემბრის #60-01193262080 წერილი (AR1711210) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე თამაზი ქოქოსაძის მომართვის საფუძველზე ითხოვთ ქ. თბილისში, ო. ხიზანიშვილის ქუჩა #108 (ს.კ. #01.11.10.008.202)(სზ-6), შპს „მირაქსის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 4 ძირი (1 ძირი იფანი, 3 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 72 ერთეული (2 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი კავკასიური ცაცხვი, 4 ძირი ცხენისწაბლი, 4 ძირი ცრუ აკაცია, 8 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 10 ძირი აბრეშუმის აკაცია, 20 ძირი იტალიური ფიჭვი, 7 ძირი ჰიმალაის კედარი, 3 ძირი კვიდო, 6 ძირი გრაკლა, 6 ძირი ჭანჭყატი) მცენარე სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (1489 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის

ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

